**სსიპ - მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ აზიზკენდის საჯარო სკოლა**

# ტექსტებისა და სავარჯიშოების კრებული ქართულ ენაში დაწყებითი საფეხურისათვის

**2023 წელი**

**ავტორი: მაგდანა ერაძე**

# წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

,,ტექსტებისა და სავარჯიშოების კრებული ქართულ ენაში დაწყებითი საფეხურისათვის“ გახლავთ დამატებითი რესურსი, რომელიც შეიქმნა არაქართულენოვან სკოლაში დაწყებითი კლასების (ძირითადად მე-3 კლასი) მოსწავლეებში გააზრებული და გაწაფული/გამართული კითხვის უნარის გაუმჯობესების მიზნით.

კრებულში მოცემული ტექსტები, დიალოგები, ტესტური დავალებები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. ტექსტებს ახლავს ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოები, რომლებიც ხელს უწყობს გააზრებული, გაწაფული/გამართული კითხვის, მეტყველებისა და წერის უნარების გაუმჯობესებას.

კრებულში მოცემული ტექსტები და ილუსტრაციები სრულად შეესაბამება დაწყებითი კლასის ასაკობრივ დონეს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. შერჩეული ილუსტრაციები ეხმარება მოსწავლეებს ვარაუდების გამოთქმაში, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვაში, ტექსტის ნაწილებთან დაკავშირებაში, ლექსიკისა და გრამატიკის გააქტიურებაში, რაც ხელს უწყობს როგორც კითხვის უნარის გაუმჯობესებას, ისე საკითხავი ტექსტებისადმი ინტერესის გაღვივებას, სიყვარულსა და წიგნიერების უნარის გაუმჯობესებას.

დამატებითი ტესტური დავალებები ხელს უწყობს დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებსა და საგნობრივ სტანდარტში მოცემული მასალის, ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული კონსტრუქციების, გამეორებასა და განმტკიცებას.

კრებულის გამოყენება შესაძლებელია სკოლის ძირითადი გრიფმინიჭებული სახემძღვანელოს პარალელურად მასალის გამრავალფეროვნების, მოწავლეების შესაძლებლობების რეალიზების, ინტერესების დაკმაყოფილებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, დიფერენცირებული და რემედიაციული სწავლების დროს.

მაგდანა ერაძე

## სუფთა გარემო

სკოლის ეზოში ნაგავი ყრია. მასწავლებელს და მოსწავლეებს ხელზე უკეთიათ ხელთათმანები და ასუფთავებენ გარემოს.

**ონურს** უჭირავს ტომარა. **მასწავლებელი** და **სამა** კრეფენ ბოთლებს და ყრიან ტომარაში. **იოლჩუ** ცოცხით გვის ფოთლებს.

- ძალიან ბინძურია სკოლის ეზო!
- მასწავლებელო, ვინ აბინძურებს გარემოს?
- არ ვიცი, მაგრამ ადამიანები ყრიან ნაგავს!
- რატომ? არ იციან, რომ არ შეიძლება?
- იციან, მაგრამ მაინც ყრიან.
- მართალი ხარ, ნაგავი ჩავყაროთ ნაგვის ურნაში!

ბინძური გარემო საზიანოა ჯანმრთელობისთვის!

**დავალება 1. დააკავშირე სიტყვა შესაბამის ფოტოსთან:**

ცოცხი ტომარა ხელთათმანი ნაგავი ბოთლი

**დავალება 2. წაიკითხე ტექსტი და ფოტოზე  დაწერე, ვინ ვინ არის?**

**დავალება 3. დააკვირდი მოცემულ სიტყვებს და ჩასვი გამოტოვებულ ადგილას:**

როგორი?

**სუფთა**

**ბინძური**

რას აკეთებს?

**ასუფთავებს**

**აბინძურებს**

1. სკოლის ეზო ძალიან _____ არის.
2. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად _____ ეზოს.
3. ადამიანი _____ გარემოს.
4. _____ გარემო აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

დავალება 4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვი სწორად **ყრის** თუ **ყრიან** ?

1. ადამიანი _____ ნაგავს.
2. ადამიანები _____ ნაგავს.

დავალება 5. დააკავშირე ერთმანეთთან და ჩაწერე შესაბამის ფოტოსთან:

ნარჩენები

ყუთი, რომელშიც ყრიან ნაგავს.

ნაგვის ურნა

ის, რაც დარჩა

**დავალება 6. მონიშნე სწორი და არასწორი წინადადება:**

| N | წინადადება | სწორია | არასწორია |
|---|---|---|---|
| 1 | ნარჩენები არ ჩავყაროთ ნაგვის ურნაში. | | |
| 2 | ბინძური გარემო სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. | | |

**დავალება 7. უპასუხე კითხვებს :**

1. როგორია შენი სკოლის ეზო?

   _____

2. ვინ ასუფთავებს შენი სკოლის ეზოს?

   _____

3. სად ყრიან ბავშვები ნაგავს?

   _____

4. შენ სად ყრი ნაგავს? რატომ?

   _____

**დავალება 1. დააკვირდი ფოტოს და უპასუხე შეკითხვებს:**

1. სად არიან ბავშვები?
2. რას ხედავ ფოტოზე?

**დავალება 2. წაიკითხე ტექსტი და ფოტოზე შესაბამის ადგილას დაწერე, ვის რა ჰქვია?**

## ვის რა აცვია?

დილარა, ალია, მაჰამედი და სამა ეზოში არიან.

სამას აცვია ვარდისფერი მაისური, იასამნისფერი ქვედა ბოლო. სამას აქვს ორი ნაწნავი. სამას ნაწნავებზე უკეთია ორი ბანტი.

თუნჯაის აცვია ზოლიანი მაისური, ლურჯი შარვალი და წითელი ფეხსაცმელი.

ეს არის ალია. ალიას აცვია წითელი კოპლებიანი კაბა, თეთრი წინდები და წითელი ფეხსაცმელი. ალიას ქუდი არ ახურავს.

**დავალება 3. დააკავშირე ერთმანეთთან:**

1. ახურავს ტანსაცმელი
2. აცვია ბანტი
3. უკეთია ქუდი

**დავალება 4. ბავშვების სახელები გაანაწილე სწორად წინადადებებში:**

**თუნჯაის სამას ალიას**

1. _____ აცვია ლურჯი შარვალი.
2. _____ ნაწნავებზე უკეთია ლურჯი ბანტები.
3. _____ აცვია თეთრი წინდები.
4. _____ არ ახურავს ქუდი.
5. _____ აცვია იასამნისფერი ქვედა ბოლო.

**დავალება 5. შემოხაზე სწორი ვარიანტი:**

1. თუნჯაის აცვია _____ მაისური.
   ა. წითელი ბ. ზოლიანი გ. კოპლებიანი
2. ალიას აცვია _____ კაბა.
   ზ. ზოლიანი ბ. მწვანე გ. კოპლებიანი

**დავალება 6. ისაუბრე, რა აცვია, რა უკეთია და რა ახურავს დილარას?**

**დავალება 1. წაიკითხე ტექსტი და დაწერე, ვინ ვინ არის?**

## თევზაობა

ზაფხულში თუნჯაი და ონური არიან სოფელში. ბიჭებს აინტერესებთ თევზაობა. ისინი არიან მდინარის ნაპირთან და თევზაობენ. თუნჯაი ზის სკამზე და თევზაობს. ონური დგას, ხელში უჭირავს ანკესი და თევზაობს. თუნჯაის ძაღლიც მდინარის ნაპირთან ზის.

მდინარის მეორე ნაპირზე ორი ძროხა ბალახს ძოვს. თუნჯაი იჭერს სამ თევზს. მინდორზე  დიდი თევზები აწყვია.

ონური იჭერს ბათინკს. თუნჯაი იცინის. ბაყაყი ზის ჩანთაზე და იღიმის.

**დავალება 2. წაიკითხე შეკითხვები და შემოხაზე სწორი პასუხი:**

1. სად არიან ბიჭები?
   ა. ქალაქში ბ. სოფელში გ. ტყეში
2. რას აკეთებენ ბიჭები?
   ა. თამაშობენ ბ. ჭამენ გ.თევზაობენ
3. მდინარის მეორე ნაპირზე დგას:
   ა.ერთი ბაყაყი ბ.ორი ძროხა გ.ერთი ძაღლი

**დავალება 3. მოძებნე ტექსტში მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:**

იღიმის _____

**დავალება 4. მონიშნე, ვინ რას აკეთებს:**

| N | წინადადება | თუნჯაი | ონური | ბაყაყი | ძროხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზის ჩანთაზე. | | | | |
| 2 | ზის სკამზე. | | | | |
| 3 | უჭირავს ანკესი. | | | | |
| 4 | დგას მდინარის ნაპირთან. | | | | |
| 5 | ძოვს ბალახს. | | | | |
| 6 | იჭერს ბათინკს. | | | | |

**დავალება 5. უპასუხე შეკითხვებს:**

1. რას იჭერს ონური? _____
2. რატომ იცინის თუნჯაი? _____
   _____
3. რატომ იღიმის ბაყაყი? _____
   _____
4. შენს სოფელში არის მდინარე? _____
5. შენ გიყვარს თევზაობა?_____
6. შენს ოჯახში ვინ თევზაობს? _____

## თბილისი

საქართველოში ბევრი ქალაქია. მაგალითად, მარნეული, ბათუმი, ქუთაისი, მცხეთა. თბილისი არის ძველი და ყველაზე დიდი ქალაქი საქართველოში. თბილისი საქართველოს დედაქალაქია.

თბილისში არის მდინარე მტკვარი. ის თბილისს ორ ნაწილად ყოფს. დედაქალაქში არის ორი ტბა: ლისის ტბა და კუს ტბა. თბილისში არის მთაწმინდის პარკი, ზოოპარკი, კინოთეატრი, ბევრი მუზეუმი, ლამაზი ქუჩები. თბილისში არის შოთა რუსთაველის ქუჩა. იქ ბევრი მაღაზია და კაფეა. რუსთაველის ქუჩაზე ბევრი ხალხი სეირნობს.

თბილისში მიწიდან თბილი წყალი ამოდის, ამიტომ ქალაქს ჰქვია თბილისი.

**დავალება 1. უპასუხე შეკითხვებს:**

1. რის შესახებ არის ტექსტი?

   _____

2. რომელი ქალაქებია საქართველოში?

   _____

3. რომელი ტბებია თბილისში?

   _____

4. რომელი მდინარეა თბილისში?

   _____

**დავალება 2. სურათების მიხედვით დაწერე, რა არის თბილისში?**




**დავალება 3. დააკვირდი ფოტოს და ამოწერე ტექსტიდან შესაბამისი წინადადება:**

_____

**დავალება 6. უპასუხე შეკითხვებს ტექსტის ბოლო ნაწილის მიხედვით:**

1. **საიდან ამოდის თბილი წყალი? _____**
2. **რატომ ჰქვია ქალაქს თბილისი?**

_____

**დავალება 7. მონიშნე სწორი წინადადებები, არასწორი გაასწორე:**

| N | წინადადება | სწორია | არასწორია |
|---|---|---|---|
| 1 | თბილისში ერთი ტბაა. | | |
| 2 | რუსთაველის ქუჩაზე ბევრი ხალხი  სეირნობს. | | |
| 3 | რუსთაველის ქუჩაზე არ არის კაფე და მაღაზია. | | |
| 4 | თბილისი საქართველოს დედაქალაქია. | | |
| 5 | თბილისი პატარა და ახალი ქალაქია. | | |

1._____

2._____

3. _____

**დავალება 8. დაწერე პატარა ტექსტსი შენი ქალაქის შესახებ, გამოიყენე მოცემული კითხვები:**

1. **მოუფიქრე სათაური შენს ტექსტს.**
2. **რომელია შენი ქალაქი?**
3. **როგორია შენი ქალაქი?**
4. **რა არის შენს ქალაქში?**
5. **რა არ არის შენს ქალაქში?**

_____

_____

_____

_____

_____

## შუქნიშანი

ბავშვები გამოდიან სკოლიდან. ნიკა, მარიამი, დილარა და კოტე კლასელები არიან. ისინი გადასასვლელთან დგანან. გადასასვლელთან დგას შუქნიშანი. შუქნიშანზე ინთება სამი ფერი: წითელი, ყვითელი და მწვანე.

შუქნიშანზე ანთია წითელი, ამ დროს ბავშვები დგანან და ელოდებიან.

შუქნიშანზე ანთია ყვითელი, ბავშვები ემზადებიან გადასასვლელად.

შუქნიშანზე ანთია მწვანე. ლურჯი მანქანა ჩერდება. ბავშვები გზაზე გადადიან.

**დავალება 1. დაწერე, რა ფერი ანთია შუქნიშანზე?**

1. შუქნიშანზე ანთია _____ .

2. _____ .

3. _____ .

**დავალება 2. ჩასვი -თან ან -ზე:**

ა. ბავშვები დგანან გადასასვლელ_____.

ბ. შუქნიშან___ ინთება სამი ფერი.

გ. ბავშვები გადადიან გზა___.

დ. გადასასვლელ_____ დგას შუნქნიშანი.

ე.შუქნიშან___ ანთია წითელი.

**დავალება 3. აუღლე მოცემული ზმნები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| მე | ვდგავარ | მე | ველოდები |
| შენ | _____ | შენ | _____ |
| ის | _____ | ის | _____ |
| ჩვენ | _____ | ჩვენ | _____ |
| თქვენ | _____ | თქვენ | _____ |
| ისინი | _____ | ისინი | _____ |

**დავალება 4. დააკავშირეთ ერთმანეთთან:**

1.ლურჯი მანქანა ჩერდება იმიტომ, ა.რომ შუქნიშანზე ყვითელი ანთია

2. ბავშვები გზაზე გადადიან იმიტომ, ბ.რომ შუქნიშანზე წითელი ანთია

3. ბავშვები ელოდებიან იმიტომ, გ.რომ შუქნიშანზე მწვანე ანთია

4. ბავშვები ემზადებიან იმიტომ, დ.რომ შუქნიშანზე მწვანე ანთია

**დავალება 5.შემოხაზე სწორი პასუხი:**

1. შენ რას აკეთებ, როცა შუქნიშანზე წითელი ანთია?
   ა. გადავდივარ ბ.ვდგავარ გ. ვემზადები

2. რას აკეთებ, როცა შუქნიშანზე ყვითელი ანთია?
   ა. გადავდივარ ბ.ვდგავარ გ. ვემზადები

3. რას აკეთებ, როცა შუქნიშანზე მწვანე ანთია?
   ა. გადავდივარ ბ.ველოდები გ. ვემზადები

**დავალება 6. ცხრილში მონიშნე, შეიძლება თუ არ შეიძლება?**

| N | | შეიძლება | არ შეიძლება |
|---|---|---|---|
| 1 | **წითელზე გადასვლა** | | |
| 2 | **მწვანეზე გადასვლა** | | |
| 3 | **ყვითელზე გადასვლა** | | |

**დავალება 1. წაიკითხე ტექსტი და ფოტოზე დაწერე სახელები:**

## ერთგული მეგობარი

ბათურა იოლჩუს ძაღლია. ის არის ყავისფერი, აქვს მოკლე ფეხები, გრძელი ტანი, გრძელი ყურები და გრძელი კუდი. იოლჩუს სახლის წინ არის ბათურას პატარა სახლი.

ბათურას ძალიან უყვარს იოლჩუ. როცა იოლჩუ სახლში არ არის, ბათურა ზის და ელოდება. იოლჩუ ბათურასთან ერთად დადის პარკში, ბურთით თამაშობს ბათურასთან ერთად. ბათურა იოლჩუს ერთგული მეგობარია.

იოლჩუს დედა საღამოს ბაზარში ყიდულობს ძვალს ბათურასთვის. ბათურას ძალიან უყვარს ძვალი.

დავალება 2. გამოტოვებულ ადგილას ჩაწერე **გრძელი** თუ **მოკლე**?

1. ბათურას აქვს _____ ყურები.
2. ბათურას აქვს _____ ფეხები.
3. ბათურას აქვს _____ ტანი.
4. ბათურას აქვს _____ კუდი.

დავალება 3. გამოტოვებულ ადგილას ჩაწერე **-თან** თუ **-თვის**?

1. იოლჩუ ბათურას_____ ერთად დადის პარკში.
2. იოლჩუს დედა ბათურას_____ ყიდულობს ძვალს.
3. იოლჩუ ბათურას_____ ერთად თამაშობს ბურთით.

დავალება 4. შემოხაზე სწორი ვარიანტი:

1. ბათურას სახლი არის იოლჩუს _____.
   ა. ბაზარში ბ. სახლის წინ გ. პარკის უკან
2. იოლჩუს დედა ყიდულობს _____ ძვალს.
   ა. მაღაზიაში ბ. აფთიაქში გ. ბაზარში
3. ბათურას უყვარს _____ .
   ა. ძვალი ბ.ხორცი გ. ბალახი

დავალება 5. ამოხსენი რებუსი:

1 + = _____

ბათურა იოლჩუს _____ მეგობარია.

დავალება 6. მონიშნე სწორი და არასწორი ინფორმაცია:

| N | წინადადება | სწორია | არასწორია |
|---|---|---|---|
| 1 | ბათურა არის შავი. | | |
| 2 | ბათურა ზის და ელოდება ძვალს. | | |
| 3 | ბათურას აქვს პატარა სახლი. | | |
| 4 | ბათურა მიდის წინ, იოლჩუ მიდის უკან. | | |

დავალება 7. უპასუხე შეკითხვებს:

1. რატომ ყიდულობს დედა ძვალს?
   _____
2. რატომ ელოდება ბათურა იოლჩუს?
   _____

## ეზოში

თუნჯაი, ონური, იოლჩუ, სამა, ხაზეინი და მაჰამედი კლასელები და მეგობრები არიან. ისინი სწავლობენ მე-3 კლასში. ისინი გაკვეთილების შემდეგ ორ საათზე ეზოში მიდიან. მაჰამედს აინტერესებს ფოტოების გადაღება. ონურს აინტერესებს ხატვა. ხაზეინს უყვარს თევზაობა. სამას უყვარს ველოსიპედით სეირნობა. თუნჯაი და იოლჩუ ხან სეირნობენ, ხან ფეხბურთს თამაშობენ, ხან საუბრობენ.

ხაზეინი ზის მდინარის ნაპირთან და ანკესით თევზაობს. ხაზეინი იჭერს პატარა თევზებს. ონურს აქვს მოლბერტი და ფუნჯები. ის ფუნჯებით ხატავს ბუნებას. მაჰამედი ბევრ ფოტოს იღებს. მაჰამედის ჩანთაში ბევრი ფოტო დევს. ბავშვები მდინარეში არ ბანაობენ იმიტომ, რომ ცურვა არ იციან.

ბავშვები ხუთ საათზე სახლში მიდიან. ისინი ძალიან ბედნიერები არიან.

**დავალება 1. შეავსე ცხრილი, ვინ არიან პერსონაჟები?**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბიჭი | ბიჭი | გოგო | ბიჭი | ბიჭი | ბიჭი |
| | | | | | |

**დავალება 2. დაწერე, ვის რა უყვარს, ვის რა აინტერესებს?**

| | უყვარს | აინტერესებს |
|---|---|---|
| მაჰამედს | | |
| ონურს | | |
| ხაზეინს | | |
| სამას | | |

**დავალება 2. შემოხაზე სწორი ვარიანტი:**

1. რას აკეთებს ონური? ა. სეირნობს ბ. თევზაობს გ. ხატავს

2. რას აკეთებს სამა? ა. საუბრობს ბ. სეირნობს ველოსიპედით გ. ფოტოებს იღებს

3. რას აკეთებენ იოლჩუ და თუნჯაი? ა. საუბრობენ ბ. ხატავენ გ. ჭამენ

**დავალება 3. დაწერე ნიმუშის მიხედვით**

ნიმუში: ის ბანაობ-**ს** → ისინი ბანაობ-**ენ**

| **ის** | **ისინი** |
|---|---|
| ხატავ-ს | |
| საუბრობ-ს | |
| თევზაობ-ს | |
| იჭერ-ს | |
| იღებ-ს | |
| სეირნობ-ს | |
| თამაშობ-ს | |

**დავალება 4. წინადადებებში გამოტოვებულ ადგილას ჩასვით -ით, -ში ან -თან სწორად:**

1. სამა სეირნობს ველოსიპედ___.
2. მეგობრები 2 საათზე ეზო___ მიდიან.
3. ხაზეინი ზის მდინარის ნაპირ___ და ანკეს___ თევზაობს.
4. ონური ხატავს ფუნჯებ___.
5. ბავშვები მდინარე___ არ ბანაობენ.
6. მაჰამედის ჩანთა___ ბევრი ფოტო დევს.

**დავალება 5. დაასრულე წინადადებები:**

1. ბავშვები მდინარეში არ ბანაობენ იმიტომ,_____ _____.

2. ბავშვები ბედნიერები არიან იმიტომ,_____ _____.

დავალება 6. დაწერე, რა უყვარს, რა აინტერესებს და რას აკეთებს შენი მეგობარი?

ჩემს მეგობარს ჰქვია_____

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

## როგორი ამინდია მარტში?

მარტი გაზაფხულის პირველი თვეა. მთავრდება ზამთარი და მარტში იწყება გაზაფხული. მარტში 31 დღეა. მარტი ძალიან გრძელი თვეა. მარტში ხან ცივა, ხან ცხელა, ხან თბილა და ხან გრილა.

8 საათზე გარეთ მზე ანათებს, ძალიან ცხელა. სამა  იცვამს და სკოლაში მიდის. სამა ქურთუკს არ იცვამს.

12 საათზე სამა საკლასო ოთახის ფანჯრიდან ხედავს, რომ ქარი ქრის. ცოტა ცივა.

2 საათზე სამა სკოლიდან გამოდის. გარეთ შავი ღრუბელია. სამა ფეხით მიდის სახლში, სამა მირბის იმიტომ, რომ მალე წვიმა წამოვა. წვიმს. სამას ქოლგა არ აქვს. სამა სველდება, სამა გარბის, მაგრამ მაინც სველდება.

- სამა, მოდი, აიღე  ქოლგა!
- შენ არ გინდა?
- მე ახლოს ვცხოვრობ, შენ შორს ცხოვრობ!
- დიდი მადლობა, თუნჯაი!

სამა ქოლგას იღებს და სახლში მირბის.

სამა შედის სახლში. ის ბუხართან ზის და თბება. ცხელ ჩაის სვამს. 5 საათზე სამა ხედავს ფანჯრიდან მზეს. ისევ ცხელა. ქარიანი და წვიმიანი ამინდი არ არის. ახლა ისევ მზიანი ამინდია.

მარტში ამინდი იცვლება, ხან მზე ანათებს, ხან ქარი ქრის, ხან წვიმა მოდის და ხან ღრუბლიანი ამინდია. 6 საათზე სამა ფანჯრიდან ხედავს ცისარტყელას.

**დავალება 1. შეავსე მოცემული ცხრილი:**

| წელიწადის დრო | თვე | რამდენი დღეა? | როგორი ამინდია? |
|---|---|---|---|
| | | | |

**დავალება 2. წინადადებებში გამოტოვებულ ადგილას ჩასვი -ში, -იდან, -თან.**

1. სამა ფანჯრ____ ხედავს, რომ ქარი ქრის.
2. სამა ზის ბუხარ____ .
3. სამა სკოლ____ გამოდის.
4. სამა ფანჯრ___ ხედავს ცისარტყელას.
5. სამა ფეხით მიდის სახლ___.

**დავალება 3. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით:**

წვიმა მოდის → წვიმ-**იანი** ამინდია.

| ქარი ქრის | მზე ანათებს | ღრუბელია |
|---|---|---|
| | | |

**დავალება 4. შემოხაზე სწორი ვარიანტი და ჩაწერე:**

1. რვა საათზე სამა _____ და _____ სკოლაში.
   ა. იბანს და ჭამს ბ. იცვამს და მიდის გ. სვამს ჩაის

2. 12 საათზე ფანჯრიდან ჩანს, რომ _____ ამინდია.
   ა. წვიმიანი ბ. ქარიანი გ. მზიანი

3. 2 საათზე სამა _____ სახლში.
   ა. არის ბ. თამაშობს გ. მირბის

4. 6 საათზე სამა ფანჯრიდან _____ ცისარტყელას.
   ა. ხედავს ბ. ლაპარაკობს გ. ჭამს

**დავალება 5. დაწერე ვისი სახლია „შორს“ და ვისი „ახლოს“:**

1. სამა ცხოვრობს _____ .
2. თუნჯაი ცხოვრობს _____.

**დავალება 6. წაიკითხე შეკითხვები და შემოხაზე სწორი პასუხი:**

1. რატომ არ იცვამს  სამა ქურთუკს?
   ა. იმიტომ, რომ ცივა.  ბ. იმიტომ, რომ ცხელა.

2. რატომ მირბის სამა სახლში?

   ა. იმიტომ, რომ ქარიანი ამინდია.  ბ. იმირომ, რომ მალე წვიმა წამოვა.

3. რატომ იღებს სამა თუნჯაის ქოლგას?
   ა. იმიტომ, რომ თუნჯაი ახლოს ცხოვრობს.  ბ. იმიტომ, რომ სამა ახლოს ცხოვრობს.

4. როგორი ბიჭია თუნჯაი?
   ა. თუნჯაი არის ლამაზი ბიჭი.  ბ. თუნჯაი არის კეთილი ბიჭი.

**დავალება 7. ტექსტის მიხედვით შეავსე ცხრილი, მონიშნე შესაბამისი უჯრა:**

| | წინადადება | სწორია | არასწორია | არ ჩანს ტექსტში |
|---|---|---|---|---|
| 1 | სამა სკოლიდან შორს ცხოვრობს. | | | |
| 2 | თუნჯაი დაეხმარა სამას. | | | |
| 3 | მარტში ამინდი ხშირად იცვლება. | | | |
| 4 | მარტში თოვლიანი ამინდია. | | | |
| 5 | სამას დედას ნურანა ჰქვია. | | | |
| 6 | სამა სკოლის ფანჯრიდან ხედავს ცისარტყელას. | | | |
| 7 | მეორე დღეს სამა იღებს ქოლგას, იცვამს ქურთუკს და მიდის სკოლაში. | | | |

**დავალება 8. დააკვირდი, როგორი ამინდი იქნება ხვალ და შეავსე ცხრილი:**

| 9 საათზე | 12 საათზე | 2 საათზე | 5 საათზე | 6 საათზე |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

## ფუტკარი

ფუტკარი ძალიან ლამაზი მწერია. ის ძალიან პარატაა, ორი, სამი, ოთხი ან ხუთი სანტიმეტრია. ფუტკარი არის ყვითელი და აქვს შავი ზოლები. ფუტკარს აქვს ორი ფრთა.

ფუტკრები ცხოვრობენ ყვავილებთან ახლოს. ფუტკრები ცხოვრობენ ტყეში, სოფელში, ფუტკრები ჭამენ ყვავილის მტვერს და ნექტარს. ნექტარი არის ყვავილის ტკბილი წვენი.

ფუტკარს უყვარს შრომა. ფუტკრები ბევრს მუშაობენ. ფუტკრები გემრიელ თაფლს ამზადებენ. ფუტკრის სახლს ჰქვია სკა. ფუტკრები სკასთან ახლოს დაფრინავენ.

**დავალება 1. შემოხაზე სწორი ვარიანტი:**

1. ფუტკარი _____ . ა. ფრინველია ბ. ცხოველია გ. მწერია
2. ფუტკარი _____ . ა. დიდია ბ. პატარაა გ.გრძელია
3. ფუტკარი _____ . ა. შავია ბ. ყავისფერია გ. ყვითელია

**დავლაბება 2. გადახაზე არასწორი სიტყვა:**

ფუტკარები ფუტკრები

**დავალება 3. გამოტოვებულ ადგილას ჩასვი ,,ფუტკარი“ თუ ,,ფუტკრები“**

1. _____ ცხოვრობს ტყეში.
2. _____ ცხოვრობენ სოფელში.
3. _____ ამზადებენ თაფლს.
4. _____ ჭამს ნექტარს.
5. _____ ჭამენ მტვერს.

**დავალება 4. დაწერე ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: ფუტკარი ჭამს. ფუტკრები ჭამ**ენ**.

1. ფუტკარი დაფრინავს. _____
2. ფუტკარი ამზადებს. _____
3. ფუტკარი ცხოვრობს. _____
4. ფუტკარი ჭამს. _____
5. ფუტკარი მუშაობს. _____

**დავალება 5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვი -ში ან -თან:**

1. ფუტკრები სკას_____ ახლოს დაფრინავენ.

2. ფუტკრერი ცხოვრობენ ტყე___ და სოფელ___.

3. ფუტკრები ყვავილებ_____ ახლოს ცხოვრობენ.

**დავალება 6. იპოვე შეცდომა და სწორად გადაწერე წინადადება.**

1. ფუტკარი უყვარს შრომა.
   _____
2. ფუტკარი აქვს შავი ზოლები.
   _____

**დავლაბება 6. მონიშნე სწორი წინადადებები:**

| N | წინადადება | სწორია | არასწორია |
|---|---|---|---|
| 1 | ფუტკარი ზოლიანი მწერია. | | |
| 2 | ფუტკრები ამზადებენ თაფლს. | | |
| 3 | ფუტკარს უყვარს ძილი. | | |
| 4 | ფუტკარს სახლი არ აქვს. | | |
| 5 | ნექტარი ყვავილის წვენია | | |

**დავალება 7. გაიხსენე რა რას გვაძლევს და შეავსე ცხრილი:**

ნიმუში: ფუტკარი/თაფლი - **ფუტკარი გვაძლევს თაფლს.**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ძროხა/რძე | |
| 2 | ქათამი/კვერცხი | |
| 3 | ბატი/ბუმბული | |
| 4 | ცხვარი/მატყლი | |

## ნამდვილი მეგობრები

ელიფი და ონური სკოლიდან სახლში მიდიან. ელიფს ძალიან შია, ონურსაც ძალიან შია. ისინი სახლში ფეხით მიდიან. სკოლიდან სახლამდე ერთი კილომეტრია. ელიფის და ონურის სახლი ძალიან შორსაა.

ონური ძალიან დაიღალა. ელიფიც ძალიან დაიღალა. ონური პარკში დაჯდა სკამზე, ელიფიც სკამზე დაჯდა. ისინი ისვენებენ. ონური ჩანთას სკამზე დებს. ჩანთიდან ერთი ცალი შოკოლადი ვარდება.

ონური უყურებს შოკოლადს, ონურს უყვარს შოკოლადი. ელიფი უყურებს შოკოლადს, მერე უყურებს ონურს. ელიფს ძალიან უყვარს შოკოლადი. ონური ხსნის შოკოლადს და ფიქრობს. ონური შოკოლადს შუაზე ყოფს: - ელიფ, აიღე და ჭამე, ძალიან გემრიელია!

ელიფი ჭამს შოკოლადს, ონურიც ჭამს შოკოლადს. ელიფი იცინის და უყურებს ონურს.

**დავალება 1. ხაზი გაუსვი, ვინ არიან ტექსტის პერსონაჟები?**

**შოკოლადი ონური ელიფი**

**დავალება 2. დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:**

| | |
|---|---|
| შია | ორ ნაწილად ყოფს |
| შუაზე ყოფს | საჭმელი უნდა |

**დავალება 3. გამოტოვებულ ადგილას ჩაწერე ,,ონური“ ან ,,ონურს“:**

1. _____ მიდის სახლში.
2. _____ ძალიან შია.
3. _____ ხსნის შოკოლადს.
4. _____ ფიქრობს.
5. _____ ძალიან დაიღალა.
6. _____ შუაზე ყოფს შოკოლადს.
7. _____ უყვარს შოკოლადი.

**დავალება 4. მონიშნე სწორი წინადადებები, არასწორი - გაასწორე:**

| N | წინადადება | სწორია | არასწორია |
|---|---|---|---|
| 1 | ონური იმიტომ დაჯდა, რომ შია. | | |
| 2 | ონურმა იცის, რომ შოკოლადი ჩანთაში აქვს. | | |
| 3 | ელიფი და ონური იმიტომ ისვენებენ, რომ სახლში შორსაა. | | |
| 4 | ონური იმიტომ ყოფს შოკოლადს შუაზე, რომ ელიფსაც უნდა. | | |
| 5 | ონური და ელიფი იმიტომ არიან ნამდვილი მეგობრები, რომ შოკოლადს შუაზე ყოფენ. | | |

_____

_____

_____

_____

**დავალება 5. წაიკითხე შეკითხვები და შემოხაზე სწორი პასუხი:**

1. რატომ უყურებს ელიფი ონურს?
   **ა.** იმიტომ, რომ შოკოლადი უნდა; **ბ**. იმიტომ, რომ ძალიან დაიღალა.

2. რატომ იცინის ელიფი?
   **ა.** იმიტომ, რომ შოკოლადს ჭამს. **ბ.** იმიტომ, რომ შოკოლადი არ უნდა.



**დავალება 1. დააკვირდი ფოტოს და უპასუხე შეკითხვებს:**

1. ვინ არიან ფოტოზე?
2. რა უჭირავს დედას ხელში?
3. ვის უჭირავს ყვავილი?
4. რატომ?

**დავალება 2. წაიკითხე ტექსტი და შეამოწმე შენი ვარაუდები:**

## დედის დღე

დღეს 3 მარტია. დღეს დედის დღეა. თუნჯაი და სამა მეგობრებთან ერთად ბაღში სეირნობენ, დარბიან  და თამაშობენ. თუნჯაი ყვითელ ყვავილებს უყურებს, სამა უყურებს ლამაზ ყვავილებს.

თუნჯაი და სამა დედასთვის კრეფენ ყვავილებს. ლეილა და ალიაც დედასთვის კრეფენ ყვავილებს. თუნჯაი და სამა აკეთებენ ლამაზ და დიდ თაიგულს დედასთვის. ლეილა და ალიაც აკეთებენ ორ ლამაზ თაიგულს დედასთვის და ბებიასთვის. ბებიაც ხომ დედა არის!

თუნჯაი და სამა მირბიან სახლში. ისინი დედას აჩუქებენ ლამაზ თაიგულს. დედა ძალიან ბედნიერია.

ლეილა და ალიაც მირბიან სახლში. ისინი დედას და ბებიას აჩუქებენ ლამაზ თაიგულებს. დედა და ბებია ბედნიერები არიან. ბავშვებიც ბედნიერები არიან.

**დავალება 2. შემოხაზე კალენდარზე, რა დღეა დღეს?**

| მარტი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ორშ.** | **სამშ.** | **ოთხს.** | **ხუთ.** | **შაბ.** | **კვ.** |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| 31 | | | | | |

**დავალება 3. აარჩიე და ჩაწერე სწორი ვარიანტი:**

1. თუნჯაი და სამა უყურებენ _____ და _____ ყვავილებს.
   ა. ლამაზი/ყვითელი ბ. ლამაზ/ყვითელ
2. თუნჯაი და სამა აკეთებენ _____ თაიგულს.
   ა.ერთ ბ.ერთი
3. ალია და ლეილა აკეთებენ _____ _____ თაიგულს.
   ა. ორი/ლამაზი ბ. ორ/ლამაზ

**დავალება 4. დააკავშირე ერთმანეთთან:**

ლეილა და აისუ თაგულს აკეთებენ დედასთვის

თუნჯაი და სამა თაიგულს აკეთებენ დედასთვის და ბებიასთვის

**დავალება 5. დაწერე ნიმუშის მიხედვით:**

სეირნობ**ს** → სეირნობ**ენ**

1. თამაშობს → _____
2. აკეთებს → _____
3. უყურებს → _____
4. კრეფს → _____
5. აჩუქებს → _____

**დავალება 6. მონიშნე სწორი წინადადება:**

| N | წინადადება | სწორია | არასწორია |
|---|---|---|---|
| 1 | თუნჯაი და სამა თაიგულს აკეთებენ ბებიასთვის. | | |
| 2 | ლეილა და ალია თაიგულს აჩუქებენ დედას და ბებიას. | | |
| 3 | თუნჯაის და ალიას დედა ბედნიერი არ არის. | | |
| 4 | ბავშვები ბედნიერები არიან. | | |
| 5 | ბავშვები ყვავილებს კრეფენ მასწავლებლისთვის. | | |

**დავალება 7. უპასუხე შეკითხვებს:**

1. ვისთვის კრეფენ ბავშვები ყვავილებს?

   _____

2. რატომ აჩუებენ თუნჯაი და სამა დედას თაიგულს?

   _____

3. რატომ არის  თუნჯაის და სამას დედა ბედნიერი?

   _____

4. რატომ აჩუქებენ ლეილა და ალია ბებიას თაიგულს?

   _____

5. რატომ არიან ბავშვები ბედნიერები?

   _____

**დავალება 8. დაწერე, შენ რას კრეფ, სად კრეფ, როგორ ყვავილებს კრეფ, რას აკეთებ, ვისთვის აკეთებ, ვის აჩუქებ, როდის აჩუქებ?**

**გამოიყენე ზმნები: ვკრეფ, ვაჩუქებ, ვაკეთებ.**

_____

_____

_____

_____

_____

_____

**დავალება 1. დააკვირდი ფოტოს და უპასუხე შეკითხვებს:**

1. ვინ ტირის?
2. რატომ ტირის?

**დავალება 2. წაიკითხე ტექსტი და შეამოწმე შენი ვარაუდი:**

## მზიან ამინდში

მშვენიერი, მზიანი, უღრუბლო, უქარო ამინდია. პარკში ბევრი ხალხია. ალი და ვალი ქაღალდის გემს აკეთებენ და გუბის წყალში უშვებენ. გიულარი მარწყვის ნაყინს ჭამს, გიულარის გვერდით ძაღლები მიდიან, ძაღლებსაც უნდათ ნაყინი.

პატარა ბავშვი ტირის იმიტომ, რომ არ იცის, სად არის დედა. ბავშვი დაიკარგა. ბავშვთან არის პოლიციელი. პოლიციელი ეძებს ბავშვის დედას.

ბავშვის დედა ფიქრობს, რომ ბავშვი ეტლშია. დედა ლაპარაკობს ბაბუასთან.

პოლიციელი ხელს კიდებს ბავშვს და მიდის დედასთან. ბავშვი ეხუტება დედას, ბავშვი აღარ ტირის. დედა ეფერება ბავშვს: - ნუ გეშინია, მე შენთან ვარ!

**დავალება 3. მოუძებნე მოცემულ სიტყვებს ტექსტში ანტონიმები და მიუწერე:**

1. უმზეო _____
2. ღრუბლიანი _____
3. ქარიანი _____

**დავალება 4. აარჩიე და ჩაწერე სწორი ვარიანტი:**

ა. ალი და ვალი _____ ნავს აკეთებენ. ქაღალდი / ქაღალდის

ბ. ქაღალდის ნავი _____ წყალში ცურავს. გუბის / გუბე

გ. _____ დედა ბაბუასთან ლაპარაკობს. ბავშვს / ბავშვის

დ. გიულარი _____ ნაყინს ჭამს. მარწყვის / მარწყვი

**დავალება 5. მოცემული ზმნები ჩასვი სწორად:**

**ეფერება ეხუტება**

ა. დედა _____ ბავშვს.

ბ. ბავშვი _____ დედას.

**დავალება 6. მონიშნე სწორი წინადადება, არასწორი გაასწორე:**

| N | წინადადება | სწორია |
|---|---|---|
| 1 | გარეთ კარგი ამინდია. | |
| 2 | ძაღლებს უნდათ ნაყინი. | |
| 3 | ბავშვი ტირის იმიტომ, რომ თავი სტკივა. | |
| 4 | დედა რეკავს პოლიციაში. | |

| | | |
|---|---|---|
| 5 | პოლიციელი ეძებს ბავშვს. | |
| 6 | ბავშვი არის ეტლში. | |

_____

_____

_____

_____

_____

## დელფინი

საქართველოში, ქალაქ ბათუმში, არის დელფინარიუმი. ზაფხულში ბევრი ბავშვი მიდის დელფინარიუმში. იქ არის ამფითეატრი, ბავშვები უყურებენ დელფინების ძალიან საინტერესო შოუს. ბათუმში არის შავი ზღვა. შავ ზღვაში ძალიან ბევრი დელფინი ცხოვრობს.

დელფინი არის ნაცრისფერი. დელფინის სიგრძე ერთი, ორი ან სამი მეტრია. დელფინს აქვს 70 კბილი, ჭამს თევზს.

დელფინს შეუძლია ადამინის სიტყვების გამეორება. დელფინს აქვს კარგი სმენა. ის ცურავს ძალიან სწრაფად და ხტება წყლიდან.

დავალება 1. შეავსე მოცემული ცხრილი ტექსტის მიხედვით:




**დავალება 2. შეავსე ცხრილი, სად რა არის?**



**დავალება 3. გაიხსენე და მიუწერე ანტონიმები:**

1. **ნელა** _____
2. **ცუდი** _____
3. **გრძელი** _____
4. **ხმელეთის** _____
5. **არ შეუძლია** _____
6. **უინტერესო** _____

**4. მონიშნე სწორი წინადადება, არასწორი გაასწორე:**

| N | წინადადება | სწორია | არასწორია |
|---|---|---|---|
| 1 | დელფინი ნელა ცურავს. | | |
| 2 | დელფინს შეუძლია სიმღერა. | | |
| 3 | დელფინს აქვს კარგი სმენა. | | |
| 4 | დელფინი ხმელეთის ცხოველია. | | |
| 5 | დელფინი მოკლე ცხოველია. | | |

_____

_____

_____

_____

**დავალება 5. უპასუხე შეკითხვებს:**

1. რა არის ბათუმი? _____
2. სად არის ბათუმი?_____
3. სად არის დელფინარიუმი?_____
4. სად არის ამფითეატრი?_____
5. სად არის შავი ზღვა?_____
6. რა არის შავ ზღვაში? _____
7. სად იმართება დელფინების შოუ?

   _____




**დავალება 1. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკიტხვებს:**

1. რის შესახებ არის ტექსტი?

   _____

2. როგორი კლასელები ჰყავს დათოს?

   _____

## ჩემი სკოლა

მე მქვია დათო. ეს სკოლა ჩემია. მე ვსწავლობ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოს საჯარო სკოლაში. ის მდებარეობს სოფელ ქეშალოში. მე მე-7ბ კლასში ვსწავლობ, ჩემს კლასში არის 20 მოსწავლე.

ჩემი სკოლა არის სამსართულიანი. სკოლაში სწავლობს 500-ზე მეტი ბავშვი, აქ ასწავლის 50 მასწავლებელი. სკოლას აქვს კომპიუტერების ოთახი, სპორტული დარბაზი, ფეხბურთის მოედანი. მე ძალიან მიყვარს სკოლის კაფე, კლასელებთან ერთად კარგად ვერთობი.

ჩვენ გაკვეთილებზე ვწერთ, ვკითხულობთ, ვხატავთ, ვძერწავთ, ვმღერით, ვცეკვავთ. სკოლაში წასვლა არასოდეს მეზარება. მე ძალიან მიყვარს ჩემი

სკოლა, რადგან ძალიან კარგი მასწავლებლები მყავს. მაგალითად, ჩემი დამრიგებელი, ლეილა ასკეროვა, ძალიან კეთილი და მეგობრული ქალია. ჩემი კლასელებიც ძალიან კარგი, მეგობრული და მხიარული ბავშვები არიან, მიყვარს მათთან ერთად თამაში და პრეზენტაციების მომზადება.

**დავალება 2. შეასრულე ნიმუშის მიხედვით:**

ეს სკოლა ჩემი **არის**. ეს სკოლა ჩემი**ა**.

1. ჩემს კლასში არის 20 მოსწავლე.
   _____.
2. ჩემი სკოლა არის სამსართულიანი.
   _____ .
3. ლეილა ასკეროვა ჩემი დამრიგებელი არის.
   _____.
4. ძალიან მეგობრული ქალი არის.
   _____.
5. ჩემი კლასელი მხიარული ბავშვი არის.
   _____.

**დავალება 3. დაწერე რას აკეთებ სკოლაში და რას სახლში.**

_____ ვწერ საშიანო დავალებას.

_____ ვთამაშობ მეგობრებთან ერთად ფრენბურთს ან ფეხბურთს.

_____ ვძერწავ ზეზვას და მზიას კლასელებთან ერთად.

_____ ხელოვნების გაკვეთილზე ვხატავთ.

_____ ქართულის გაკვეთილზე ვმღერით.

**დავალება 4. რატომ გიყვარს სკოლა? მონიშნე ყველა სწორი პასუხი და წაიკითხე:**

**მე ძალიან მიყვარს სკოლა იმიტომ, რომ....**

ა. კეთილი და მეგობრული  მასწავლებლები მყავს.

ბ. ხშირად ვთამაშობ ფეხბურთს.

გ. ერთსართულიანია და ძალიან ლამაზია.

დ. საინტერესო გაკვეთილები მაქვს.

ე. ჩემი დამრიგებელი ძალიან კეთილი და მგეობრული ქალია.

ზ. საინტერესო პრეზენტაციებს ვაკეთებთ.

თ. კლასელებთან ვსაუბრობ, ვთამაშობ, ვსწავლობ და კარგ დროს ვატარებ.

ი. სკოლის ეზოში ვსეირნობთ და ვსაუბრობთ.

**დავალება 5. ზემოთ შესრულებული დავალებების მიხედვით უპასუხე შეკითხვებს და ისაუბრე შენი სკოლის შესახებ:**

1. სად მდებარეობს შენი სკოლა?
2. რამდენსართულიანია შენი სკოლა?
3. რომელ კლასში სწავლობ?
4. რამდენი მოსწავლე სწავლობს და რამდენი მასწავლებელი ასწავლის?
5. რას აკეთებ სკოლაში?
6. როგორი კლასელები გყავს? როგორი მასწავლებლები გყავს?
7. გიყვარს სკოლა? რატომ?
8. სკოლაში წასვლა გეზარება? რატომ?

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

**დავალება 1. დააკვირდი ფოტოს და უპასუხე შეკითხვებს:**

1. სად არიან ბავშვები?
2. რას აკეთებენ?

## ბაკურიანში

1.გიორგის კლასი ბაკურიანში წავიდა 23 იანვარს 5 დღით. ისინი ბაკურიანში ავტობუსით წავიდნენ. ბავშვები სასტუმროში ,,თოვლის ბაბუა'' დაბინავდნენ. ბაკურიანში დიდი თოვლი იყო. ბავშვები წავიდნენ სასრიალო ბილიკზე.

2.ბავშვებმა იყიდეს სათვალე, ხოლო ჩაფხუტები და თხილამურები იქირავეს. თხილამურები ერთი დღე 30 ლარი ღირდა. ბიჭებმა ხუთ საათამდე ისრიალეს თხილამურებით, გოგოებმა ისრიალეს ციგებით.

3.სრიალის შემდეგ ბავშვებმა საბაგიროთი გაისეირნეს და ბაკურიანის ულამაზესი ბუნება დაათვალიერეს.

4.საღამოს ბავშვები კაფეში შევიდნენ, ცხელი ჩაი დალიეს და გემრიელი ხაჭაპურები ჭამეს. საღამოს კი დიდხანს იგუნდავეს, კარგად გაერთნენ და სასტუმროში დაბრუნდნენ.

**დავალება 2. წაიკითხე ტექსტის პირველი აბზაცი და უპასუხე შეკითხვებს:**

1. როდის  წავიდნენ ბავშვები ბაკურიანში?
   _____
2. რით წავიდნენ ბავშვები ბაკურიანში?
   _____
3. სად დაბინავდნენ? _____

**დავალება 3. ამოიწერე ტექსტის მე-2  და მე-3 აბზაცებიდან, რა გააკეთეს ბავშვებმა ბაკურიანში?**

| **ბავშვებმა (მათ)** |
|---|
| ნიმუში: იყიდეს სათვალე |
| |
| |
| |
| |
| |

**დავალება 4. წაიკითხე მეოთხე აბზაცი და დააკავშირე ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| 1. კაფეში  დალიეს | გემრიელი ხაჭაპურები |
| 2. საღამოს | დაბრუნდნენ |
| 3. კარგად | ცხელი ჩაი |
| 4. ჭამეს | გაერთნენ |
| 5. სასტუმროში | იგუნდავეს |

**დავალება 5. ბავშვები ხუთ დღეში დაბრუნდებიან სახლში. როგორ ფიქრობ, რა  უთხრეს მათ სახლში დედას და მამას? მონიშნე ყველა ის პასუხი, რომელიც შენ სწორად მიგაჩნია.**

ა. -დედა, მე მე ძალიან მომეწონა ბაკურიანში გატარებული 10 დღე.

ბ. - მამა, მე ვარ ძალიან ბედნიერი, რადგან ძალიან კარგად გავერთე ჩემს კლასელებთან ერთად.

გ. - დედა, ძალიან მომეწონა ბაკურიანის ბუნება, სრიალი, გუნდაობა.

დ. - მამა, ძალიან გემრიელი ხაჭაპურები ვჭამე ბორჯომში.

ე. - დედა, სასტუმრო ,,თოვლის ბაბუა“ ძალიან კომფორტული და ლამაზია.

ვ. - მამა, ბაკურიანში ციგა 30 ლარად ვიქირავე.

ზ. - დედა, ძალიან მინდა, ისევ წავიდე ბაკურიანში.

თ. - მამა, ბაკურიანში ვერ ვიგუნდავეთ, რადგან თოვლი არ იყო.

## აისუს ერთი დღე

ეს არის აისუ. ის სწავლობს ქალაქ მარნეულის მე-8 საჯარო სკოლაში. აისუ სწავლობს მესამე კლასში. აისუს გაკვეთილები 9-ის ნახევარზე იწყება. აისუს ძალიან უყვარს სკოლა, სწავლა და მეგობრებთან თამაში.

აისუ იღვიძებს რვა საათზე. ხან ავტობუსით მიდის სკოლაში, ხან ფეხით მიდის. დღეს აისუს 5 გაკვეთილი აქვს. პირველი გაკვეთილი იწყება 9-ის ნახევარზე, მეორე გაკვეთილი იწყება 9 საათზე, მესამე გაკვეთილი იწყება 10-ის ნახევარზე, მეოთხე გაკვეთილი იწყება ათ საათზე, მეხუთე გაკვეთილი იწყება 11-ის ნახევარზე. აისუს გაკვეთილები მთავრდება თერთმეტ საათზე. აისუ სახლში მიდის მეგობრებთან ერთად ფეხით.

პირველ  საათზე აისუ მიდის ცეკვაზე, ხუთ საათზე აისუ მიდის ინგლისურზე. შვიდ საათზე აისუ სწავლობს ქართულს, წერს მათემატიკას, კითხულობს ბუნებას და ხატავს. აისუ ხშირად ხატავს.

აისუ ცხრა საათზე თამაშობს ჭადრაკს ძმასთან ერთად და ათ საათზე იძინებს.

**დავალება 1. შემოხაზე სწორი ვარიანტი და ჩაწერე.**

1. აისუს გაკვეთილები _____ _____ იწყება.

   ა. 10-ის ნახევარზე ბ. 9-ის ნახევარზე გ. 8-ის ნახევარზე

2. მეორე გაკვეთილი _____ _____ იწყება.

   ა. 8 საათზე ბ. 10 საათზე გ. 9 საათზე.

3. აისუს გაკვეთილები _____ _____ მთავრდება.

   ა. თერთმეტ საათზე ბ. თორმეტ საათზე გ. პირველ საათზე

**დავალება 2. ჩაწერე -ში , -ით ან -ზე.**

1. პირველ საათზე აისუ მიდის ცეკვა____.
2. აისუ სწავლობს მე-8 საჯარო სკოლა___.
3. ხუთ საათზე აისუ მიდის ინგლისურ____.
4. აისუ სკოლაში მიდის ავტობუს____ ან ფეხ____.
5. აისუ სწავლობს მესამე კლას____.

**დავალება 3. დაასრულე წინადადებები:**

1. აისუ წერს _____ .

2. აისუ კითხულობს _____ .

3. აისუ წერს _____.

4. აისუ ხშირად _____.

5. აისუ _____ ჭადრაკს.

**დავალება 6. შეავსე ცხრილი, რომელ საათზე რას აკეთებს აისუ.**

| N | რას აკეთებს? | რომელ საათზე? |
|---|---|---|
| 1 | აისუ იღვიძებს | |
| 2 | აისუ იძინებს | |

**დავალება 7. მონიშნე სწორი და არასწორი ინფორმაცია:**

| N | | სწორია | არასწორია |
|---|---|---|---|
| 1 | აისუს დღეს ექვსი გაკვეთილი აქვს. | | |
| 2 | მეხუთე გაკვეთილი იწყება თერთმეტის ნახევარზე. | | |
| 3 | აისუს ჰყავს ძმა. | | |
| 4 | აისუს არ უყვარს სწავლა. | | |
| 5 | შვიდ საათზე აისუ თამაშობს მეგობრებთან ერთად. | | |

## ხილი და ბოსტნეული

ხილი და ბოსტნეული ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. ვინც ჭამს ხილსა და ბოსტნეულს, ის ჯანმრთელი და ღონიერია.

აიდას ძალიან უყვარს ხილი და ბოსტნეული. ის ხშირად ჭამს საზამთროს, ყურძენს, ფორთოხალს, მარწყვსა და მსხალს. ამიტომ აიდა ძალიან ჯანმრთელი და ღონიერია.

აიდას ჰყავს ბაჭია. ბაჭიას უყვარს სტაფილო. ის ბევრ სტაფილოს ჭამს. ბაჭიას უყვარს კომბოსტო. ის დღეში ორ კომბოსტოს ჭამს. ამიტომ ბაჭია ჯანმრთელია და სწრაფად დარბის.

აიდას ძმას, ალის არ უყვარს ხილი და ბოსტნეული, მაგრამ ჭამს. ამიტომ ალიც ძალიან ჯანმრთელი და ღონიერია.

**ვის უყვარს ხილი და ბოსტნეული?**

**დავალება 1. ჩაწერე ამბის პერსონაჟები?**

| | | |
|---|---|---|
| | | |

**დავალება 2. შეავსე ცხრილი მოთხრობაში მოცემული ხილითა და ბოსტნეულით:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხილი | | | | | |
| ბოსტნეული | | | | | |

დავალება 3. ჩაწერე სწორი ვარიანტი:

1. აიდა ჭამს _____ . ა. მარწყვი ბ. მარწყვს
2. ბაჭიას უყვარს _____ . ა. სტაფილო ბ. სტაფილოს
3. ალის არ უყვარს _____ . ა. ხილს ბ. ხილი
4. ბაჭია ჭამს _____ . ა. კომპოსტოს ბ. კომპოსტო

დავალება 4. აირჩიე და ჩაწერე:

1. აიდა ჭამს _____ საზამთროს. (ბევრი / ბევრ)
2. ალი არ ჭამს _____ ხილს. (ბევრი / ბევრ)
3. ბაჭია ჭამს _____ კომბოსტოს. (ორი / ორ)

დავალება 5. მონიშნე, როგორია?

| | ღონიერია | ჯანმრთელია | სწრაფია |
|---|---|---|---|
| ბაჭია | | | |
| აიდა | | | |
| ალი | | | |

**დავალება 6. შეავსე გამოტოვებული ადგილები:**

1. აიდა ღონიერია იმიტომ, რომ _____ _____ .
2. ბაჭია სწრაფად დარბის იმიტომ, რომ _____ _____.
3. ალი ჯანმრთელია იმიტომ, რომ ჭამს _____ და _____.

**დავალება 7. დაწერე, შენ რას ჭამ ხშირად, რა გიყვარს, რატომ?**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

## დიალოგი ოჯახის წევრების შესახებ

**დაასახელე ვინ ვინ არის?**

- გამარჯობა, ალი! როგორ ხარ?
- გამარჯობა, აისუ! კარგად ვარ, შენ როგორ ხარ?
- მეც კარგად! ალი დედაშენს რა ჰქვია?
- დედაჩემს ჰქვია _____.
- მამაშენს რა ჰქვია?
- მამაჩემს ჰქვია _____.
- რა ჰქვია შენს დას?
- მე და არ მყავს.
- რა ჰქვია შენს ძმას?
- ჩემს ძმას ჰქვია _____.
- რა ჰქვია ბებიაშენს?
- ბებიაჩემს ჰქვია _____.
- რა ჰქვია ბაბუაშენს?
- ბაბუაჩემს ჰქვია _____.
- ნახვამდის!
- ნახვამდის!

**დიალოგი**

ოჯახის წევრების საქმიანობა

- გამარჯობა, _____, როგორ ხარ?
- გამარჯობა, _____, კარგად ვარ, შენ როგორ ხარ?
- მეც კარგად ვარ. დედაშენი სად არის?
- დედაჩემი სახლშია.
- სად მუშაობს?
- დედაჩემი არ მუშაობს.
- მამაშენი სად მუშაობს?
- მამაჩემი მუშაობს ბანკში.
- შენი ძმა რომელ კლასშია?
- ჩემი ძმა _____ კლასშია.
- კარგი, ნახვამდის!
- კარგად იყავი.

## დიალოგი მასწავლებელთან

- გამარჯობა, ეკა მასწავლებელო!
- გამარჯობა, დილარა, როგორ ხარ?
- კარგად ვარ, თქვენ როგორ ბრძანდებით?
- მეც კარგად!
- გაიცანით, ეს ჩემი უმცროსი ძმაა, თუნჯაი.
- გამარჯობა, თუნჯაი. რამდენი წლის არის?
- ხუთი წლისაა, ჯერ სკოლაში არ დადის.
- ძალიან საყვარელი ძმა გყავს.
- დიდი მადლობა, ეკა მასწავლებელო.
- ნახვამდის, დილარა!
- კარგად ბრძანდებოდეთ, მასწავლებელო!

## კაფეში

- ელიფ, ძალიან მომწონს ქალაქი თბილისი!
- კი, ონურ, მეც ძალიან მომწონს, მთაწმინდის პარკი ძალიან დიდი და ლამაზია.
- მე, ეს კაფე მომწონს, გემრიელი სუნი დგას.
- თუნჯაი, შენ გშია და იმიტომ.
- რას მიირთმევთ, ბავშვებო?
- მე შევჭამ ხაჭაპურს, ხაჭაპურის შემდეგ შოკოლადის ნაყინს შევჭამ.
- მე შევჭამ ორ ცალ კატლეტს ტყემლით და შემდეგ შევჭამ მარწყვის ნაყინს.
- მე შევჭამ ორ ნაჭერ პიცას ძეხვით და შემდეგ შევჭამ ბანანის კექსს.
- რას დალევთ?
- მე დავლევ ფორთოხლის წვენს.
- მე დავლევ კოკა-კოლას.
- კოკა-კოლა არ გვაქვს.
- ცუდია, მე ატმის წვენს დავლევ.
- მე დავლევ ანანასის წვენს.
- ბავშვებო, თქვენ გინდათ 1 ცალი ხაჭაპური, ორი ცალი კატლეტი ტყემლით, ორი ნაჭერი პიცა ძეხვით, ერთი შოკოლადის ნაყინი, ერთი

მარწყვის ნაყინი და ერთი ბანანის კექსი. ერთი ანანასის წვენი, ერთი ფორთოხლის წვენი და ერთი ატმის წვენი. ხომ სწორია?

- დიახ!
- ინებეთ, გემრიელად მიირთვით!
- დიდი მადლობა!
- ყველაფერი ძალიან გემრიელი იყო, ნახვამდის!
- ნახვამდის.

## დიალოგი მაღაზიაში

- გამარჯობა!
- გამარჯობა! რა ღირს თეთრი  შოკოლადი?
- 3 ლარი და 40 თეთრი.
- ძვირია! მარწყვის დონატი რა ღირს?
- 60 თეთრი.
- დონატი იაფია! ეს პატარა ფორთოხლის წვენი რა ღირს?
- ლარი და 40 თეთრი.
- მზესუმზირა რა ღირს?
- 60 გრმიანი მზესუმზირა ღირს 80 თეთრი.
- მომეცით 1 ცალი მარწყვის დონატი, ერთი ცალი ფორთოხლის წვენი და ორი შეკვრა მზესუმზირა.
- 2 ლარი და 80 თეთრი.
- აი, 3 ლარი აიღეთ.
- ინებეთ ხურდა 20 თეთრი.
- მადლობა!
- გემრიელად მიირთვი!

# დიალოგი მაღაზიაში

**მეწყვილესთან ერთად მოიფიქრე, რა რა ღირს, რამდენი ლარი უნდა გადაიხადო და გაითამაშეთ დიალოგი როგორც მყიდველმა და გამყიდველმა:**

- გამარჯობა! რა ღირს პური?
- პური ღირს _____ ლარი და _____თეთრი.
- შაქარი რა ღირს?
- ერთი კილო ღირს _____ ლარი და _____ თეთრი.
- ქლიავის წვენი რა ღირს?
- ერთ ლიტრიანი _____ ლარი და _____ თეთრი.
- მომეცით ორი პური, ერთი კილო შაქარი და ორი ბოთლი ქლიავის წვენი.
- აი, ინებეთ. სულ _____ ლარი და _____ თეთრი.
- აი, აიღეთ 50 ლარი.
- ინებეთ ხურდა _____ და _____ თეთრი.
- დიდი მადლობა!
- ნახვამდის!

## ვის რა უჭირავს?

**დავალება 1. დაასრულე წინადადებები, ვის რა უჭირავს ხელში:**

1. შალალას ხელში უჭირავს _____ .
2. ვალის ხელში უჭირავს _____ _____.
3. ჯანსუს ხელში უჭირავს _____.
4. ჩიანარას ხელში უჭირავს _____.
5. იოლჩუს ხელში უჭირავს _____.

**დავალება 2. მონიშნე, ვინ რას აკეთებს:**

| N | რას აკეთებს? | ჩინარა | იოლჩუ | ჰაჯი | შალალა | ვალი | ლეილა | ბაყაყი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზის ხეზე. | | | | | | | |
| 2 | კითხულობს წიგნს | | | | | | | |
| 3 | ხატავს ფუტკარს | | | | | | | |
| 4 | სძინავს | | | | | | | |
| 5 | გამოდის სახლიდან | | | | | | | |
| 6 | თამაშობს ძაღლთან | | | | | | | |
| 7 | უყურებს ჩინარას | | | | | | | |

## ვინ როგორ ერთობა?

**დავალება 1. დააკვირდი ფოტოს, მოცემული ფრაზებიდან აარჩიე და ჩაწერე, ვინ რას აკეთებს:**

**ხელებით ეკიდება** **საქანელაზე ქანაობს** **დარბის სკვერის გარშემო**
**ზის სკამზე და კითხულობს** **კალათბურთს თამაშობს** **ადის კიბეზე**

**ფეხებით ეკიდება** **კუბიკებით თამაშობს** **ლახტით დახტის**

**საქანელაზე ტრიალებს** **ელოდება სამას** **ჭამს ნაყინს** **თამაშობს ბურთით**

1. ჩიჩაქი _____
2. ჯიმი _____
3. ალი _____
4. თუნჯაი _____
5. სამაია _____
6. ჯონი _____
7. სონა _____
8. რასიმი _____
9. ელიფი _____
10. აითაჯი _____
11. ონური _____
12. სამა _____

**დავალება 2. დაწერე ვინ რას აკეთებს ერთად, გამოიყენე ნიმუში:**

ნიმუში: ჯიმი და ლალი თამაშობ**ენ** კალათბურთს.

1. რაფიკი და სამაია _____
2. სამა და თუნჯაი _____
3. ელიფი და მაჰამედი _____
4. ონური და სამა _____

**დავალება 1. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკიტხვებს:**

## სად დადის ონური?

ონური 9 წლისაა, ის დიდი ბიჭია. ონური ცხოვრობს ქალაქ ბოლნისში. ონურის სახლი არის ორსართულიანი. ონურის სახლის წინ არის ბევრი მაღაზია და დიდი სუპერმარკეტი ,,კარფური“.

ონური ხშირად დადის მაღაზიაში. დილით ყიდულობს პურს, კვერცხს, ხილს. ონურს ყველა გამყიდველი იცნობს. მაღაზიაში ,,კარფური“ მუშაობს სამი გამყიდველი. პირველს ჰქვია ჯულიეტა, მეორეს ჰქვია ჟანა, მესამეს ჰქვია ჯორჯი. ონური ხშირად ყიდულობს მაღაზიაში შოკოლადებს და ბანანს.

ონურის სახლის წინ არის აფთიაქი. ონური აფთიაქში არ დადის. ონური აფთიაქში მიდის დედასთან ერთად. ონურის დედა აფთიაქში ყიდულობს წამალს, ონური აფიაქში ყიდულობს იოგურტს. ონურს უყვარს მაღაზიაში სიარული.

1. რა არის ტექსტის სათაური?
   _____
2. ვინ არის ტექსტის პერსონაჟი?
   _____
3. რა ჰქვია სუპერმარკეტს?
   _____

**დავალება 2. მონიშნე სწორი (√) და არასწორი (X) ინფორმაცია.**

| N | ინფორმაცია | √ - X |
|---|---|---|
| 1 | ონური რვა წლისაა. | |
| 2 | ონური ცხოვრობს ქალაქ მარნეულში. | |
| 3 | ონურის სახლის გვერდით არის სუპერმარკეტი ,,კარფური“. | |

| | | |
|---|---|---|
| 4 | ონური დილით ყიდულობს  კვერცხს. | |
| 5 | გამყიდველებს ჰქვიათ ჟანა, ϫორϫი და ϫემალი. | |
| 6 | ონური აფთიქში დადის მარტო. | |
| 7 | ონური აფთიაქში ყიდულობს იოგურტს. | |
| 8 | ონურის დედა აფთიაქში ყიდულობს ხორცს. | |
| 9 | ონურს არ უყვარს მაღაზიაში სიარული. | |
| 10 | ონურს მაღაზიაში გამყიდველები არ იცნობენ. | |

## ტესტური დავალებები გამეოებისთვი

**დავალება 1. გამოტოვებულ ადგილას ჩასვი -ში, -ზე, -თან დანდებულები:**

1. ალია ზის სკამ___.
2. თუნჯაი ჩანთა___ დებს წიგნს.
3. ალია მიდის ბებიას____.
4. ხაზეინი წიგნს დებს თარო___.
5. მასწავლებელი დგას მაგიდას____.
6. კატა იმალება კარადა___.
7. რიტა ჯამ____ ასხამს რძეს.
8. სამა თეფშებს აწყობს მაგიდა___.
9. მაჰამედი უჯრა___ დებს კალამს.
10. დილარა აისუს____ ერთად სეირნობს.

**დავალება 2. გამოტოვებულ ადგილას ჩასვი -ის ან -ით:**

1. თევზი ზღვ___ ცხოველია.
2. ძაღლი ადამიან___ მეგობარია.
3. ლეილა ფუნჯ___ ხატავს ჟირაფს.
4. ონური ფეხ___ მიდის სკოლაში.
5. ბავშვები წიგნში წერენ ფანქრ___, ხოლო რვეულში წერენ კალმ___.
6. ძროხ___ სახლს ჰქვია ბოსელი.
7. ზაზა ბიჭ___ სახელია.
8. ბავშვები სკოლ___ ეზოში თამაშობენ ბურთ___.
9. სკოლ___ ავტობუს___ გოგოები მიდიან ზოოპარკში.
10. ჟირაფი ხმელეთ___ ცხოველია.

**დავალება 3. ჩასვი ,,სამა“ ან ,,სამას“:**

1. _____ აქვს დიდი ლამაზი სახლი.
2. _____ ცხოვრობს ბათუმში.
3. _____ უყვარს შოკოლადი.
4. _____ მაღაზიაში ყიდულობს დონატს.
5. _____ მოსწონს ყვავილებიანი მაისური.
6. _____ სტკივა ყელი.

7. _____ სვამს წამალს.
8. _____ ხელში უჭირავს ქოლგა.
9. _____ აინტერესებს ზღვის ცხოველები.
10. _____ უნდა მარწყვის ნაყინი.

**დავალება 4. დაწერე ნიმუშის მიხედვით:**

| N | ის ხატავ**ს** → ისინი ხატავ**ენ** | ის მირბი**ს** → ისინი მირბი**ან** |
|---|---|---|
| 1 | ის ფიქრობს | ის ყრის |
| 2 | ის კრეფს | ის მღერის |
| 3 | ის ასხამს | ის მიდის |
| 4 | ის ცეკვავს | ის ტირის |
| 5 | ის სეირნობს | ის იცინის |
| 6 | ის ამბობს | ის თვლის |
| 7 | ის თევზაობს | ის ყვირის |
| 8 | ის იღებს | ის კნავის |

**დავალება 5. დაწერე ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში: ზებრა არის ზოლიანი ცხოველი → ზებრა ზოლიანი ცხოველია.**

1. ელიფი არის ჭკვიანი გოგო.

   _____.
2. მგელი არის მშიერი.

   _____ .
3. სამას ჩანთა არის წითელი.

   _____ .
4. ონურის ქუდი არის თეთრი.

   _____ .
5. ჩემი სახლი არის ორსართულიანი.

   _____.
6. აისუ არის მესამეკლასელი.

   _____.
7. თუნჯაი არის წყალბურთელი.

   _____ .
8. ფახლავა არის ძალიან ტკბილი.

   _____.
9. ხვალ არის ჩიჩაქის დაბადების დღე.

   _____ .
10. მამაჩემი არის ექიმი.

    _____.

**დავალება 6. ნიმუშის მიხედვით დაუსვი შეკითხვა ხაზგასმულ სიტყვებს:**

**ნიმუში: <u>ზოოპარკში</u> არიან ცხოველები. - სად არიან ცხოველები?**

1. ბავშვები თამაშობენ <u>ეზოში</u>.

   _____
2. კატა იმალება <u>საწოლის ქვეშ.</u>

   _____
3. ბავშვი დაიკარგა <u>პარკში.</u>

   _____

4. მასწავლებელი დგას <u>კართან.</u>

   _____

5. აისუ არის <u>კაფეში</u>.

   _____

6. ფუტკარი ცხოვრობს <u>სკაში</u>.

   _____

7. საჩუქარი დევს <u>ყუთში.</u>

   _____

8. დილარა ზის <u>ავტობუსში</u>.

   _____

9. ლეილა არის <u>კინოში.</u>

   _____

10. ჩიტი ზის <u>გალიაში.</u>

    _____

11. ბეჰემოტი წევს <u>ჰამაკში.</u>

    _____

**დავალება 7. აირჩიე სწორი ვარიანტი და ჩაწერე, ყურადღება მიაქციე ნიმუშს:**

**ნიმუში:** დიდი ჩანთა **მაგრამ**

დიდ ჩანთა**ს**

დიდ ჩანთა**ში**

დიდ ჩანთა**ზე**

1. კურდღელი _____ ამინდში იმალება. წვიმიანი / წვიმიან
2. კნუტი _____ კარადაში იმალება. დიდი/დიდ
3. ბაჭია _____ სტაფილოს ჭამს. გემრიელ/გემრიელი
4. _____ გოგო ბევრს სწავლობს. ჭკვიან/ჭკვიანი
5. _____ ამინდში პარკში ცოტა ხალხია. ღრუბლიანი/ღრუბლიან
6. ნინო _____ ჩაის სვამს. ტკბილ/ტკბილი
7. ონური _____ სკამზე ზის. გრძლი / გრძელ
8. აისუ _____ კაბას იცვამს. ლამაზი/ლამაზ

9. სამა _____ პურს ჭამს. შავ/შავი
10. მაჰამედი _____ მამალოს ყიდულობს. სამი/სამ

**დავალება 8. დააკავშირეთ ერთმანეთთან ანტონიმები:**

| | |
|---|---|
| 1. სწრაფი | უღრუბლო |
| 2. კარგი | პატარა |
| 3. შორს | მოწყენილი |
| 4. მარჯვნივ | ბეჯითი |
| 5. წინ | ნელი |
| 6. მოკლე | ცუდი |
| 7. ლამაზი | უგემური |
| 8. დიდი | ახლოს |
| 9. ღრუბლიანი | მარცხნივ |
| 10. ზარმაცი | უკან |
| 11. მხიარული | გრძელი |
| 12. ახალი | უშნო |
| 13. გემრიელი | ძველი |

**დავალება 9. უპასუხეთ შეკითხვებს:**

1. დღეს რა რიცხვია?
   _____
2. გუშინ რა რიცხვი იყო?
   _____
3. ხვალ რა რიცხვი იქნება? _____-
   _____

**დავალება 10. დაუსვი შეკითხვა: რომელი საათია ან რომელ საათზე?**

| | |
|---|---|
| ნიმუში: ცხრა საათი**ა**. | რომელი საათი**ა**? |
| შვიდ საათ**ზე**. | რომელ საათ**ზე**? |
| სამის ნახევარი**ა**. | რომელი საათი**ა**? |
| სამის ნახევარ**ზე**. | რომელ საათ**ზე**? |

1. ნინო ხუთ საათზე მიდის სკოლაში.

   _____

2. სამის ნახევარზე იწყება ფეხბურთის თამაში.

   _____

3. ახლა პირველი საათია.

   _____

4. ათ საათზე ალია იძინებს.

   _____

5. პირველის ნახეარზე ვალი მიდის ინგლისურზე.

   _____

6. თორმეტი საათია.

   _____

7. ორ საათზე ბავშვები მეცადინეობენ.

   _____

8. ხუთის ნახევარზე დედაჩემი მოვა.

   _____

**დავალება 11. დაწერე ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: ეს **არის** ჩემი ჩანთა. → ეს ჩემი ჩანთა**ა**.

1. ეს შენი კალამი არის? _____
2. ეს არის ჩემი თოჯინა. _____
3. ის  არის მისი ოთახი._____
4. ეს არის ჩემი ძაღლი. _____
5. ეს არის მისი წებო. _____
6. ეს არის შენი ქოლგა? _____
7. ეს ბურთი არის მისი. _____

**დავალება 12. დაწერე ნიმუშის მიხედვით:**

ა) ნიმუში: ფეხბურთი → ფეხბურთ**ელ**ი

1. კალათბურთი _____
2. ჩოგბურთი _____
3. წყალბურთი _____
4. ხელბურთი _____

ბ) ნიმუში: სამა  თამაშობს ჩოგბურთს.  სამა ჩოგბურთელია.

1. ანა თამაშობს ხელბურთს.

   _____ .

2. ონური თამაშობს კალათბურთს.

   _____ .

3. რასიმი თამაშობს წყალბურთს.

   _____.

4. ალია თამაშობს ფრენბურთს.

   _____.

**დავალება 13. დაწერე ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:**

**ელიფს აინტერესებს წიგნების კითხვა.** → **ელიფი წიგნს კითხულობს.**

1. ელიფს აინტერესებს პეიზაჟის ხატვა.

   _____

2. სამას უყვარს მუსიკის მოსმენა.

   _____

3. თუნჯაის აინტერესებს თევზაობა.

   _____

4. მაჰამედს აინტერესებს ფოტოების გადაღება.

   _____

5. დავითს უყვარს ჭამა.

   _____

**დავალება 14. უპასუხე შეკითხვებს, გამოიყენე იმიტომ, რომ:**

1. ანა ბევრს ჭამს. ის არის მსუქანი.
   რატომ არის ანა მსუქანი?

   _____

2. სამა ტირის. სამას  ფეხი სტკივა.

რატომ ტირის სამა?

_____

3. თუნჯაი სახლში მირბის. გარეთ წვიმს.
   რატომ მირბის თუნჯაი?

   _____

4. ონური მიდის ინგლისურზე. ონურს აინტერესებს ინგლისური ენა.
   რატომ მიდის ონური ინგლისურზე?

   _____

5. ჩიჩაქი მაღაზიაში ყიდულობს პურს. ჩიჩაქს შია.
   რატომ ყიდულობს ჩიჩაქი პურს?

   _____

6. დედა ეფერება შვილს. დედას უყვარს შვილი.
   რატომ ეფერება დედა შვილს?

   _____

7. ანამარია მიდის დელფინარიუმში. ანამარიას მოსწონს დელფინების შოუ.
   რატომ მიდის ანამარია დელფინარიუმში?

   _____

8. აითაჯს სტკივა ყელი. აითაჯი ჭამს ნაყინს.
   რატომ სტკივა აითაჯს ყელი?

   _____

9. მაჰამედს უყვარს მარწყვი. მარწყვი გემრიელია.
   რატომ უყვარს მაჰამედს მარწყვი?

   _____

10. თუნჯაის უყვარს ფორთოხლის წვენი. ფორთოხლის წვენი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.
11. რატომ უყვარს თუნჯაის ფორთოხლის წვენი?

   _____

**დავალება 15. ნიმუშის მიხედვით ჩასვი სწორად -სთან ან -თან:**

ნიმუში: შამში მიდის ბებიასთან.

შამში მიდის ელიფთან.

1. ალია მიდის მეგობარ_____.
2. მოსწავლე დგას ფანჯარა_____.

3. დიანა მიდის კლასელ_____.
4. დირექტორი  დგას დაფა_____.
5. მასწავლებელი დგას მაგიდა_____.
6. გოგოები მიდიან  მასწავლებელ____.
7. ალია დგას წიგნის თარო_____.
8. ელიფი მიდის გამყიდველ____.
9. ძაღლი მიდის ბავშვ____.
10. ბავშვი მიდის კატა_____.

**დავალება 16. ჩასვი მოცემული სიტყვები სწორად ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: რა? → გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

როდის? → გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომაზე, ზამთარში.

1. ფრინველები _____ მოფრინავენ.
2. _____ თოვლი მოდის.
3. პირველ დეკემბერს იწყება _____.
4. _____ ელიფი ოჯახთან ერთად მიდის ზღვაზე.
5. _____ სკოლა იწყება.
6. _____ ბუნება იღვიძებს.
7. _____ წელიწადის ყველაზე ცხელი დროა.
8. _____ ბავშვები ბაკურიანში მიდიან.
9. _____ იწყება ფოთოლცვენა.
10. _____ არის ყველაზე მწვანე წელიწადის დრო.

**დავალება 17. უპასუხე შეკითხვებს (შენი ფანტაზიით) ნიმუშის მიხედვით:**

| | |
|---|---|
| ნიმუში: - ალია, ანანასის წვენი გემიელია? | - არა, არც ისე გემრიელია.<br>- კი, ძალიან გემრიელია.<br>- კი, გემრიელია. |

1. - თუნჯაი, ტორტი ძალიან ტკბილია?
   _____
2. - ჩიჩაქ, ხაჭაპური ძალიან მარილიანია?
   _____
3. - დილარა, პიცა გემრიელია?
   _____
4. -სონა, ლობიანი მწარეა?
   _____
5. - ხაზეინ, ვაშლი ძალიან მაგარია?
   _____
6. - ახმედ, ბროწეული ძალიან მჟავეა?
   _____
7. - სამა, გარგარი მწიფეა?
   _____
8. - დედა, ყურძენი მკვახეა?
   _____

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. სუფთა გარემო ..... 3
2. ვის რა აცვია? ..... 7
3. თევზაობა ..... 9
4. თბილისი ..... 11
5. შუქნიშანი ..... 14
6. ერთგული მეგობარი ..... 17
7. ეზოში ..... 19
8. როგორი ამინდია მარტში? ..... 22
9. ფუტკარი ..... 26
10.ნამდვილი მეგობრები ..... 29
11. დედის დღე ..... 32
12. მზიან ამინდში ..... 37
13. დელფინი ..... 40
14. ჩემი სკოლა ..... 43
15. ბაკურიანში ..... 46
16. აისუს ერთი დღე ..... 49
17. ხილი და ბოსტნეული ..... 52
18. დიალოგი ოჯახი წევრების შესახებ ..... 55
19. დიალოგი ოჯახის წევრების საქმიანობა ..... 56
20. დიალოგი მასწავლებელთან ..... 57
21. დიალოგი კაფეში ..... 58

**22. დიალოგი მაღაზიაში ..... 60**

**23. დიალოგი მაღაზიაში ..... 61**

**24. ვის რა უჭირავს? ..... 62**

**25. ვინ როგორ ერთობა?..... 64**

**26. სად დადის ონური? ..... 65**

**27. ტესტური დავალებები გამეორებისთვის ..... 68**